ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

ალექსანდრე ბოშიშვილი
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

„უზაფხულო წელიწადი“ ევროპაში – გერმანიიდან კავკასიაში ხალხის გადმოსახლების ერთ-ერთი მიზეზი

გერმანელების მიერ XVIII და განსაკუთრებით XIX საუკუნეში სამშობლოს დატოვებასა და შორს გადასახლებას, თავისი პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და პირადი მიზეზები განაპირობებდა.[1] იმდროინდელ გერმანულ სახელმწიფოებს ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ტოვებდა. ისინი ამერიკასა და რუსეთში მიემგზავრებოდნენ.[2]

რუსეთის იმპერიაში გერმანელების გადასახლებას ხელი შეუწყო იმპერატრიცა ეკატერინე II-ის (1762- 1796 წწ.) 1762 და 1763 წელს გამოცემულმა სპეციალურმა მანიფესტებმა,[3] რომელთა მიხედვითაც, რუსეთში უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან იწვევდნენ ხალხს და მიწასა და მეურნეობის მოწყობაში დახმარებას ჰპირდებოდნენ. მალე მდინარე ვოლგასთან პირველი გერმანული დასახლებაც გაჩნდა. გერმანელებთან ერთად

[1] დაწვრილებით, იხ. K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, Published by American Historical Society of Germans from Russia. Lincoln, Nebraska. 1982, გვ. 24-29 და სხვ.

[2] კავკასიაში გერმანული კოლონიები ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევრის ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა. გერმანელების კოლონიებისა და მათი ყოფის შესახებ ნაშრომები ეკუთვნით: პაატა გუგუშვილს, გურამ მანჯგალაძეს, ავთანდილ სონღულაშვილს, ლევან ბრეგაძეს, გელა სულაძეს და სხვ. ქართველ ავტორებთან ერთად უნდა დასახელდეს უცხოელი ავტორებიც, რომელთაც კავკასიაში გერმანელების დასახლებისა და შემდგომი ბედის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები და დაკვირვებები აქვთ: ფრიდრიხ პეროტი, კარლ შტუმპი, პიოტრ ბასიხინი, სუდაბა ზეინალოვა, დაფნე შპრინგჰორნი და სხვ. დასახელებული ავტორების ნაშრომებში ამ ვრცელი საკითხის შესახებ შესაძლებელია ამომწურავი მასალის მოძიება.

[3] იხ. Полное собрание законов Российской империи. С 1649 года. Т. XVI. С 28 июня 1762 по 1764. СПб. 1830, №11720, გვ. 126; №11880, გვ. 313.

რუსეთში მიდიოდნენ ფრანგები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები. რუსეთის იმპერიაში დასახლების მსურველებს ხელისუფლება გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდა. ახლად დამკვიდრებულ ე.წ. კოლონისტებს სახელმწიფო ფონდიდან ეძლეოდათ მიწა, მეურნეობის მოსაწყობად ბიუჯეტიდან გამოეყოფოდათ საკმაო თანხები, მათზე არ ვრცელდებოდა რუსეთის იმპერიაში არსებული ბატონყმობა, 100 წლის განმავლობაში გათავისუფლებული იყვნენ სამხედრო ვალდებულებისგან და სხვ.[4]

მეცნიერთა ნაწილი გერმანელების ამიერკავკასიაში გადმოსახლებას უფრო მეტად უკავშირებენ ნაპოლეონის ომებს, რომელთა დიდი ნაწილი გერმანიის ტერიტორიაზე წარმოებდა და ნადგურდებოდა ქვედა ფენები განსაკუთრებით და მათი მეურნეობა, ამან კი, მეცნიერების აზრით, ხელი შეუწყო ადგილობრივ მოსახლეობის აყრას და სამშობლოდან შორს გადასახლებას. პროფ. გურამ მანჯგალაძე მიიჩნევს, რომ გერმანელების მიერ სამშობლოს დატოვების მიზეზი არა ნაპოლეობის ომები, არამედ კაპიტალიზმის განვითარება იყო, რაც „გლეხთა მასების გაღატაკებას“ იწვევდა, ამის დასადასტურებლად იგი იმოწმებს ფაქტს, რომ გერმანიიდან ხალხის მასობრივი გადასახლება ნაპოლეონის ომებამდეც ინტენსიურად მიმდინარეობდა.[5] მეცნიერი დაწვრილებით აღწერს, გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარების მისეულ ხედვას და ბოლოს აღნიშნავს, რომ – გერმანიაში „კაპიტალიზმის განვითარება ფეოდალურ საბურველში იყო გახვეული“.[6] გერმანიაში კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა ფეოდალიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისა და ამ უკანასკნელის მოსპობის გზით, არამედ ამ დრომოჭმულ წყობილებასთან პატარ-პატარა შეტაკებებისა და მასთან შეგუების გზით.[7]

პიეტისტები და „სეპარატისტები“

ნაპოლეონის ლაშქრობებმა მართლაც მთელი გერმანია გააღატაკა, მათ შორის, ყველაზე მეტად ვიურტემბერგის სამეფო, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის, შვაბების, ეკონომიკური გაჭირვების პარალელურად

[4] იხ. K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში. თბ. 1995, გვ. 4-5; ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა). თბ. 2024, გვ. 213-214.

[5] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ. 1974, გვ. 12.

[6] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 13.

[7] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 13.

ლუთერანულ ეკლესიაში წარმოქმნილი რელიგიური სექტებიც გააქტიურდნენ. მათ შორის იყო პიეტისტების“ ჯგუფი.

პიეტიზმი (ლათ. *pietas* – თანაგრძნობა, ღვთისმოსაობა) XVII საუკუნეში პროტესტანტიზმის წიაღში ჩამოყალიბდა. გერმანიაში მოძრაობას საფუძველი ფილიპ იაკობ შპენერმა (1635-1705) ჩაუყარა, მან 1670 წელს *Collegia pietatis* ჩამოაყალიბა: ეს იყო საერო პირების ჯგუფები, რომლებიც ახალი აღთქმის შესწავლისა და ურთიერთგანვითარების მიზნით იკრიბებოდნენ. შპენერის იდეალი იყო აქტიური, ბეჯითი (*pietas*), მკაცრ ზნეობაზე დამყარებული ქრისტიანობა. 1675 წელს გამოქვეყნდა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება “*Pia desideria”* ანუ ჭეშმარიტი, სახარებისეული ეკლესიის ცხოველი სწრაფვა ღმრთისათვის სასურველი გაუმჯობესებისაკენ“. ნაწარმოებში შპენერი ლუთერული ეკლესიის ნაკლოვანებებს (მოჭარბებული ბიუროკრატია, უთანხმოებები, ქონების უსამართლო განაწილება და სხვ.) ამხელდა და მათი გამოსწორების შესაძლო გზებს მიუთითებდა: ბიბლიის მეტად ფართოდ გავრცელება, საყოველთაო მღვდელმსახურების აღდგენა (საეროების თანამშრომლობა მოძღვრებთან), მწვავე პოლემიკაზე უარის თქმა, ქრისტიანულ სათნოებათა დამკვიდრება, მოძღვრების შესწავლა და სხვა. პიეტიზმს, როგორც „განახლების“ მოძრაობას, განცალკევებული ეკლესიები არ შეუქმნია, ეს იყო მრავალი დინებისა და მიმართულების მომცველი მოძრაობა.[8]

პიეტისტები ვერც სასულიერო და ვერც საერო ხელისუფლებასთან საერთო ენას ვერ პოულობდნენ. მალე, პიეტისტებს შორის უფრო რადიკალური მიმართულებები გაჩნდა. შიდა დაპირისპირების შედეგად წარმოიქმნა თავისი აქტიურობით გამორჩეული ე.წ. „სეპარატისტების“ ჯგუფი.[9] გერმანიაში XIX საუკუნეში გააქტიურებული რელიგიური მოძრაობები, განსაკუთრებით კი პიეტისტების „სეპარატისტები“, ხელისუფლებისგან სასტიკად იდევნებოდნენ.

პიეტისტების მოძრაობა ყველაზე მეტად ვიურტემბერგში, ბადენში, ბავარიასა და შვეიცარიაში იყო გავრცელებული. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოახლოვებული იყო სამყაროს აღსასრული. ამის შესახებ ჯერ კიდევ

[8] იხ. პ. პეტროზილო. ქრისტიანობის ლექსიკონი. იტალიურიდან თარგმნა მარიკა სააკაშვილმა. რედ. მერაბ ღაღანიძე (სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი. ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი). თბ. 2011, გვ. 434; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; და სხვ

[9] იხ. ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; ლ. ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე. თბ. 2010, გვ. 7.

იოჰან ალბრეჰტ ბენგელი (1687-1752 წწ.) და სხვები ქადაგებდნენ. პიეტისტების აზრით, გერმანელებისთვის თავის გადარჩენა სამშობლოდან შორს იყო შესაძლებელი, იერუსალიმში, ან კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს, იმ ადგილას, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა.[10] ამასთან, ნაპოლეონის ომებისგან შეწუხებულნი, ისინი ნაპოლეონს „ანტიქრისტედ“ და „შავ ანგელოზად“ მიიჩნევდნენ, რომელიც უპირისპირდებოდა „თეთრ ანგელოზს“, რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს. 1815 წელს ნაპოლეონის ელბადან დაბრუნება ახალ ბრძოლებს მოასწავებდა და, ბუნებრივია, „სეპარატისტებში“ დიდ შეშფოთებას იწვევდა ეს ყველაფერი.[11]

სწორედ მსგავსი ქადაგებები და, ამასთანავე, ხელისუფლების მიერ მათი შევიწროვება გახდა რუსეთის იმპერიასა და ამერიკაში მასობრივი მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი. „სეპარატისტებმა“ გადმოსახლებამდე კავკასიაში სპეციალურად მიავლინეს თავიანთი წარმომადგენლები, რომელთაც მათი დასახლებებისთვის ხელსაყრელი ადგილების შერჩევა ჰქონდათ დავალებული.[12]

ვულკან ტამბორას ამოფრქვევა და მისი შედეგები

სამყაროს მოახლოვებული აღსასრულის შესახებ ქადაგებებს დაემატა 1816 წლის მოუსავლიანი წელი ევროპაში და სურსათის დიდი კრიზისი. 1816 წლის ზაფხული განსაკუთრებულად ცივი გამოდგა დასავლეთ ევროპისა და ამერიკისთვის. ივნისში, ივლისსა და აგვისტოშიც კი თოვდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ვერც მიწის დამუშავება და ვერც მოსავლის მოყვანა. მოუსავლიანობამ ფასების თითქმის ათჯერ გაძვირება გამოიწვია, რასაც შიმშილი და სხვადასხვა დაავადებების გავრცელებაც მოჰყვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ყველაფერი 1815 წლის აპრილში ინდონეზიაში ვულკან ტამბორას ამოფრქვევას უკავშირდება, რის შედეგადაც ევროპა და ჩრდილოეთ ამერიკა რამდენიმე თვეში ტონობით ვულკა-

[10] იხ. U. Gäbler. Johann Albrecht Bengel und seine Nachwirkungen. In: Martin Brecht: Geschichte des Pietismus. Vandenhoeck & Ruprecht. Göttingen. 2000, გვ. 33- 36; ასევე, პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. მონოგრაფიები. ტ. I. თბ. 1949, გვ. 670; Т. Чернова-Дѐке. Позиция и роль А. П. Ермолова в становлении немецких колоний в Закавказье. Отечественая история. М. 2008, №1, გვ. 21; Т.Н. Чернова-Дѐке. Немецкие поселения на Кавказе. 1816–1914 гг. «Вопросы истории». 2010. №3. გვ. 92–105.

[11] გ. მანჯგალაძე. გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 22; იხ. ასევე, K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

[12] П. Басихин. Немецкия колонии на кавказе. «Кавказский вестник». Ежемесячный научно-литературный журнал. №1. Тб. 1900, გვ. 14; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5.

ნური ფერფლის ხშირმა ღრუბელმა და ფარა. დამყარდა ე.წ. „ვულკანური ზამთარი“. 1816 წელს „უზაფხულო წელსაც“ ეძახიან.[13]

რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაში, გერმანელების გადასახლების შესახებ დაწვრილებით საუბრობს კარლ შტუმპი, იგი აღნიშნავს, რომ ხალხის გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ 1816 წლის ცივი და მოუსავლიანი წელი იყო. იგი მოვლენას უფრო ეკონომიკურ ნაწილზე აკეთებს აქცენტს. მოვლენამ რომ გავლენა მოახდინა სამშობლოს დატოვების შესახებ გერმანელების გადაწყვეტილებაზე, ეს ხაზგასმულია. თუმცა არ არის აღნიშნული მოუსავლიანი წლის გამომწვევი მიზეზის შესახებ. ასევე, კარლ შტუმპი არ მიუთითებს, თუ რამდენად შეიძლებოდა რელიგიური კუთხით გამხდარიყო ეს მოვლენა ხალხისთვის სამშობლოს დატოვების მიზეზი. კარლ შტუმპი აღნიშნავს, რომ ცუდმა ამინდებმა 1816 წელს გამოიწვია მოსავლის დიდი დეფიციტი და უკმარისობა. პირუტყვის ორი მესამედი ან დაიღუპა ან საკვებად გამოყენების მიზეზით დაკლეს. ხალხი პურის გამოსაცხობად იყენებდნენ ხის ქერქებს, ჩალასა და ქატოს. გაჭირვებული მოსახლეობა ბალახსა და თივას ხარშავდა და იმას ჭამდა.[14] დრამატულად არის აღწერილი, მთელი წლის შესახებ, შტუმპი აღნიშნავს, რომ – 1816 წელს *„ამინდი იყო არანორმალურად ცუდი და დამანგრეველი. ახალი წლის დღეებში ისე ცხელოდა, როგორც ზაფხულში. ხოლო მარტში ისეთი ჭექა-ქუხილი იყო, როგორც ივნისში. მაისში ისე ციოდა, როგორც თებერვალში ცივა ხოლმე. ჭები ისე იყო გაიყინა, რომ წყალი ვერ მოიპოვებოდა. ივნისში დაიწყო წვიმა, რომელიც არ დასრულებულა და მთელი მარცვალი მინდორში დალპა. ივლისში სეტყვამ ყველაფერი გააფუჭა...“* და აშ.[15]

გადასახლებისთვის მზადება

შექმნილმა სურათმა, როგორც ჩანს, გერმანელებში კიდევ უფრო გაამძაფრა სამშობლოს დატოვების სურვილი, ამ საქმეში მათ რუსეთის იმპერატორის დახმარების იმედი ჰქონდათ. „სეპარატისტების“ გადასახ-

[13] ამ მოვლენის ახსნა XX საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა ფიზიკოსმა და ატმოსფეროს მკვლევარმა უილიამ ჰამფრისმა მოახერხა (იხ. W. J. Humphreys. Volcanic dust and other factors in the production of climatic changes, and their possible relation to ice ages. Bull. Mount Weather Obs. №6, 1913, გვ. 1-34; Tambora and the “Year Without a Summer” of 1816. A Perspective on Earth and Human Systems Science. Oeschger Fentre for Flimate Fhange Research. Institute of Geography, University of Bern, Switzerland. 2016.

[14] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

[15] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 28.

ლებას მხარს უჭერდა ვიურტემბერგის მეფე ფრიდრიხ I-ც (1806-1816 წწ.). მან რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე I-ს (1801-1825 წწ.) სთხოვა, „სეპარატისტებისთვის“, რომელიც ოფიციალურ ეკლესიას განუდგნენ და არეულობის მიზეზი იყვნენ, რუსეთის იმპერიაში დასასახლებელი ადგილი გამოეძებნა. ალექსანდრეც დაჰპირდა, რომ მათ რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე დაასახლებდა.[16]

ამ პროცესების პარალელურად საქართველოდან ალექსი ერმოლოვმა 1816 წლის 31 დეკემბერს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მრჩეველს, კოზოდავლოვს, მიმართვა გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც, ის რუსეთის იმპერიის ტერიტორიებიდან საქართველოში 30 გერმანელი ოჯახი ჩამოსახლებას ითხოვდა. რუსეთის საიმპერატორო კარი, როგორც ჩანს, იმედოვნებდა, რომ გერმანელები უკეთ დაამუშავებდნენ მიწას, განვითარდებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგი, რითაც სახელმწიფო ხაზინის შემოსავალიც გაიზრდებოდა.[17]

გერმანელების კავკასიაში დასახლება

გერმანიაში რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლების მსურველები ქალაქ ულმში იკრიბებოდნენ, მალე შვიდი ათასი ადამიანი შეგროვდა. სანამ ისინი ჩამოსახლებაზე რუსეთის იმპერატორის ოფიციალურ დასტურს ელოდნენ, „სეპარატისტების“ წარმომადგენლებმა რუსეთის საკონსულოსაც მიმართეს. კონსულმა პასუხისთვის მოცდა ურჩია, მაგრამ გადმოსახლების მსურველ გერმანელთა ერთი დიდი ნაწილი რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ ნებართვას აღარ დაელოდა და 1817 წელს კავკასიისკენ გამოემართა. მათი მგზავრობის აჩქარებას რელიგიურმა შეხედულებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. რუსეთის კონსულმა გერმანელებს ხმელეთის გზით მგზავრობა ურჩია, მაგრამ მათ მდინარე დუნაი არჩიეს, რადგან მგზავრობა ასე უფრო იაფი ჯდებოდა.[18] რეგენ-

[16] იხ. П. Басихин. Немецкия колонии на кавказе, გვ. 14; პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 670; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 4-5; ლ. ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე, გვ. 8.

[17] Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК). Архив главного управления Наместника Кавказа. Издан под редакцией председателя комиссии дсс. А. Д. Берже. Том VI. Часть I. Тифлис, 1869, გვ. 313.

[18] შ. ქუთიძე. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის. „მაცნე“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო. №4. თბ. 1967, გვ. 113; იხ. ასევე, K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the years 1763 to 1862.

სბურგის, ვენისა და ბელგრადის გავლის შემდეგ გერმანელები ქალაქ იზმაილში მივიდნენ, სადაც 40 დღე გაჩერდნენ. იზმაილიდან ქალაქ ოდესაში გადავიდნენ და იქ ელოდებოდნენ იმპერატორის ნებართვას კავკასიაში გამოსამგზავრებლად.[19]

საბოლოოდ, საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ ალექსი ერმოლოვს დაევალა, რომ გერმანელები ქალაქ ოდესიდან საქართველოში ნაწილ-ნაწილ გადმოეყვანა და სადაც მოისურვებდნენ იქ დაესახლებინა. პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მათი დასასახლებელი ადგილების შერჩევა. დადგინდა გერმანელების სამგზავრო მარშრუტიც, რომელიც ხმელეთის გზით წარიმართა: ოდესა – ხერსონი – ტაგანროგი – როსტოვი – გეორგიევსკი – მოზდოკი – თბილისი. მგზარობის ეს მიმართულება გენერალმა ინზოვმა შეარჩია.[20] დაახლოებით სამთვიანი მგზავრობის შემდეგ, გერმანელებმა საქართველომდე მოაღწიეს.

1817-1820 წლებში ჩამოსახლებული კოლონისტების 53% გადმოსახლების მიზეზად შიმშილს ასახელებდა. მხოლოდ 21% – რელიგიურ ოცნებებს, დანარჩენებმა კი შრომის მოწყობის უკეთესი პერსპექტივები დაასახელეს. ამ მაჩვენებლითაც ნათელია, რომ გერმანიის დატოვების უპირველესი მიზეზი, სწორედ „უზაფხულო წელიწადის“ მიერ გამოწვეული შიმშილი და ეკონომიკური გაჭირვება იყო.

პირველი კოლონიები საქართველოში

რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, საქართველოს გუბერნიაში (რუს. «Грузинская губерния»), რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, მოიცავდა განჯის მხარესაც, საწყის ეტაპზე 1817-1820 წლებში ვიურტემბერგიდან გადმოსულმა გერმანელებმა რვა[21] დასახლება მოაწყვეს – ალექსანდერსდორფი, ანენფელდი, ელისაბეთთალი, ჰელენენდრორფი, კატერინენფელდი, მარიენფელდი, პეტერსდორფი და ნოიტიფლისი.[22]

[19] იხ. პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. I, გვ. 670-671; შ. ქუთიძე. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 113; ა. სონღულაშვილი. გერმანელები საქართველოში, გვ. 6. АКАК. Том VI. Часть I, გვ. 317; და სხვ.

[20] АКАК. Том VI. Часть I, გვ. 316, 320-321

[21] აქედან ორი (ელენენდორფი და ანენფელდი) განჯის მაზრაში.

[22] K. Stumpp. The Emigration from Germany to Russia in the Years 1763-1862, გვ. 99, 942-951; ალ. ბოშიშვილი. ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა), გვ. 221-234.

ამრიგად, გერმანელების კავკასიაში გადმოსახლებას არაერთი მიზეზი განაპირობებდა, მათ შორის უმთავრესი კი ეკონომიკური სიდუხჭირე იყო. 1816 წელს ევროპაში გამოწვეული შიმშილი კი ნაპოლეონის ომების გარდა, ვულკან ტომბორას ამოფრქვევამ და ამის გამო შექმნილმა კლიმატურმა ცვლილებებმა მოიტანა, კონკრეტულად კი ამით გამოწვეული „უზაფხულო“ და მოუსავლიანი წელი იყო.

Aleksandre Boshishvili
Assistant Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

"YEAR WITHOUT A SUMMER" – ONE OF THE PROBABLE REASONS FOR THE EMIGRATION OF PEOPLE FROM GERMANY TO THE CAUCASUS

Summary

The Germans left their homeland and emigrated far away in the 18th and especially the 19th centuries for political, religious, economic and personal reasons. Thousands of people left the German states of that time every year. They went to America and Russia.

The emigration of Germans to the Russian Empire was facilitated by special manifestos issued by Empress Catherine II (1762-1796) in 1762 and 1763. People from various foreign countries were invited to Russia and promised assistance in land and farming. Soon the first German settlement appeared on the Volga River. Along with the Germans, the French, Swiss, and Dutch came to Russia. The authorities placed those wishing to settle in the Russian Empire in a somewhat privileged position. The newly settled colonists were given land from the state fund, and sufficient funds were allocated from the budget for farming. They were not subject to serfdom in the Russian Empire, and were exempted from military service for 100 years, etc.

Napoleon's campaigns impoverished all of Germany, including the Kingdom of Württemberg. Where, in parallel with the economic hardship of the local population (the Swabians), religious sects that emerged in the Lutheran Church also became active. Among them was the "Pietist" group.

The Pietists could not find common ground with either the clerical or secular authorities. Soon, more radical trends emerged among the Pietists. As a result of internal conflict, a group of so-called "separatists" emerged, distinguished by their activity. Religious movements that became active in

Germany in the 19th century, especially the “separatists” of the Pietists, were brutally persecuted by the authorities.

The Pietist movement was most widespread in Württemberg, Baden, Bavaria, and Switzerland. They believed that the end of the world was near.

According to the Pietists, the only way for Germans to save themselves was far from their homeland, in Jerusalem, or in the Caucasus, near Mount Ararat, where Noah’s Ark had come to rest. They were also troubled by the Napoleonic Wars. They saw Napoleon as the “Antichrist” and the “Black Angel” who opposed the “White Angel”, the Russian Emperor Alexander I. Napoleon’s return from Elba in 1815 would herald new battles, and naturally this caused great concern among the “separatists”.

The preaching of the end of the world was supplemented by the poor harvest of 1816 in Europe and a great food crisis. The summer of 1816 was exceptionally cold for Western Europe and America. It even snowed in June, July, and August. Consequently, it was impossible to cultivate the land or grow crops. The poor harvest caused prices to increase almost tenfold, which led to famine and the spread of various diseases. As it turned out later, all this was connected with the eruption of the Tambora volcano in Indonesia in April 1815. As a result, Europe and North America were covered with a dense cloud of tons of volcanic ash for several months. The so-called “volcanic winter” was established. 1816 is also called the “Year Without a Summer”.

Karl Stumpp talks in detail about the emigration of Germans in the Russian Empire, including the Caucasus. He notes that one of the reasons for the emigration of people was the cold and bad year of 1816. He focuses on the economic aspect of the event. It is emphasized that the event influenced the decision of the Germans to leave their homeland. However, the cause of the bad year is not mentioned. Karl Stumpp writes that the bad weather in 1816 led to a large shortage and failure of the harvest. Two-thirds of the livestock either died or were slaughtered for food. People used tree bark, straw and bran to bake bread. The impoverished population boiled grass and hay and ate it. He describes the whole year in a dramatic way, Stumpp notes that in 1816 “the weather was abnormally bad and destructive. On New Year’s Day it was as hot as in summer. And in March there were thunderstorms like in June. In May it was as cold as in February. The wells were so frozen that water could not be obtained. In June it began to rain, which did not end and all the grain rotted in the fields. In July hail spoiled everything...” and so on.

In Germany, those wishing to emigrate to the territory of the Russian Empire gathered in the city of Ulm, and soon seven thousand people gathered.

In 1817-1820, 53% of the colonists who settled in the years 1817-1820 named hunger as the reason for their emigration. Only 21% - religious dreams, and the rest named better prospects for finding work. This indicator also makes it clear that the primary reason for leaving Germany was precisely the hunger and economic hardship caused by the "Year Without a Summer".

The first colonies in Georgia:

According to the administrative division of the Russian Empire, the Georgian Governorate (Russian: «Грузинская губерния»), in addition to Eastern Georgia, also included the Ganja region. In 1817-1820, Germans who migrated from Württemberg founded eight settlements (Colonia) – Alexandersdorf, Annenfeld, Elisabethtal, Helenendorf, Katharinenfeld, Marienfeld, Petersdorf and Tifliser Kolonie (Neutiflis).